

სამართალი რჩება სამართლის ერთ-ერთ წყაროდ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ჩვეულებების გამოყენებას არეგულირებს მე-2 მუხლით, რომელსაც ეწოდება „სამოქალაქო კანონმდებლობა“. ანუ ჩვეულება მიჩნეულია სამოქალაქო კანონმდებლობის ნაწილად. ამავე დროს, ჩვეულებითი სამართალი მოქმედებს სუბსიდიულურად. სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, „ჩვეულებანი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება სამართლისა და ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს ან საჯარო წესრიგს“. სამართლის ზოგიერთ დარგში (მაგალითად, სისხლის სამართალში) ჩვეულებითი სამართლის გამოყენება არ დაიშვება.

429. ჩვეულებით სამართალს სამართლის წყაროთა სისტემაში არ უკავია განსაზღვრული რანგი. ჩვეულებითი სამართალი შეიძლება ჩამოყალიბდეს სამართლის ყველა დარგში. ამ თვალსაზრისით, ჩვეულებითი სამართალი და კანონი ერთი და იმავე რანგისაა.

§3. სამოსამართლო სამართალი

430. მართლმსაჯულება შებოჭილია კონსტიტუციითა და კანონით. საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს“. კონსტიტუციის აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე უნდა დავასკვნათ, რომ ძირითადი კანონი კრძალავს სამოსამართლო სამართალს როგორც სამართლის წყაროს.

431. ამავე დროს, მართლმსაჯულება უნდა იყოს ერთიანი. მართლმსაჯულებს ერთიანობის პრინციპი გვხვდება ზოგიერთ საკანონმდებლო დებულებაში. საქართველოს კანონი უზენაესი სასამართლოს შესახებ აწესრიგებს სენატის ფუნქციებს და მიუთითებს, რომ სენატის ერთ-ერთი ფუნქციაა მართლმსაჯულების ერთიანი პრაქტიკის განვითარება.

432. მართლწესრიგი არ შეიძლება იყოს იდეალურად სრულყოფილი, ხოლო კანონი ვერ გაითვალისწინებს კონკრეტული ურთიერთობების გადანყვების ყველა შესაძლო მოდელს. კანონის ტექსტი, ჩვეულებრივ, აბსტრაქტულია, რომლის ზოგადი დებულებებიც

განმარტებას მოითხოვს. გარდა ამისა, მოსამართლეს ხშირად უნევს იმ ურთიერთობის გადანყვეტა, რომელიც არაა მონეს-რიგებული სამართლის ნორმით.

433. სამოსამართლო სამართლის, როგორც სამართლის დამოუკიდებელი წყაროს საკითხი, სადავოა იურიდიულ ლიტერატურაში. ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან გამომდინარე, კონტინენტურ ევროპაში აღიარებულია, რომ სასამართლო ხელისუფლებას არ შეუძლია განახორციელოს კანონშემოქმედებითი საქმიანობა. ანგლოსაქსური სამართლის ქვეყნებში გავრცელებული შეხედულების თანახმად, სამართალი არის ის, რასაც ასეთად მიიჩნევს მოსამართლე – „Law is what the judges say it is“. მსგავს თეორიას ავითარებს ე.წ. სამართლებრივი რეალიზმი და ნორმათა (წესების) სკეპტიციზმი (legal realism, rule scepticism). ანგლოსაქსური სამართლის ქვეყნებში მართლმსაჯულება, ამავდროულად, განიხილება როგორც სამართალშემოქმედება, ხოლო სამართალი – როგორც სასამართლოს ცალკეული გადანყვეტილებების ერთობლიობა. სასამართლო გადანყვეტილებებს common law-ს ქვეყნებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმდენად, რამდენადაც აქ არ მოქმედებს კოდიფიცირებული სამართალი.

434. სამოსამართლო სამართალი არის სამართლის შეფარდების და არა სამართალშემოქმედების აქტი. პრაქტიკული მნიშვნელობა სასამართლო გადანყვეტილებას აქვს საკანონმდებლო ხარეზის შევსებისას. სასამართლო გადანყვეტილება არ წარმოადგენს სამართლის წყაროს. მართლმსაჯულება არის არა სამართლის წყარო, არამედ სამართლის შემეცნების წყარო.⁴⁹ იურიდიულ პრაქტიკაში გადანყვეტილებას ხშირად ლებულობენ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ განვითარებული სამართლებრივი პრინციპების საფუძველზე და იყენებენ მიღებული გადანყვეტილების არგუმენტაციის პროცესში. სასამართლო პრაქტიკა, ამ შემთხვევაში, უფრო შემეცნებითი სახის, დამბ-მარე ფუნქციას ასრულებს.

435. უზენაესი სასამართლოსა და საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებებს აქვთ ფაქტობრივი ბოჭვის ძალა. სასამართ-

⁴⁹ Vogel, J., Juristische Methodik, 1998, S. 83.
160

ლო პრაქტიკა ორიენტირებულია ამ გადაწყვეტილებებზე. სხვა ინსტანციების მიერ მიღებული განსხვავებული გადაწყვეტილებების გადასინჯვა ხდება უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის საფუძველზე. გარდა ამისა, პრეიუდიციებს მინიჭებული აქვთ ნორმატიული ხასიათი.

436. სასამართლოს, მართალია, შეუძლია გადაუხვიოს პრეიუდიციებს, მაგრამ მან აუცილებლად უნდა დაასაბუთოს ამ გადახვევის მართლობიერება. სასამართლოს ამ შემთხვევაში ეკისრება არგუმენტაციის ვალდებულება, თუ რატომ არ გაიზიარა პრეიუდიციები. თუ სასამართლო არ გაითვალისწინებს შესაბამის პრეიუდიციებს, ეს შესაძლებელია განხილულ იქნეს, როგორც სასამართლო დაცვის კონსტიტუციური გარანტიების დარღვევა.⁵⁰

437. მართლმსაჯულების პრაქტიკა ყოველთვის დაკავშირებულია კონკრეტულ შემთხვევასთან. ამიტომ, სასამართლო პრაქტიკას, მთლიანობაში, არ აქვს ისეთი მხოკველი ძალა, როგორც კანონს. უზენაეს სასამართლოს შეუძლია შეცვალოს თავისი პრაქტიკა. უფრო მეტი შესაძლებლობები აქვს ამ მხრივ კანონმდებელს. კანონმდებელს ყოველთვის შეუძლია შეცვალოს მართლმსაჯულების პრაქტიკით ჩამოყალიბებული წესები.

438. Common Law-ის ქვეყნებში სამართლის შემფარდებელი მთლიანად არ არის შებოჭილი სასამართლოს მიერ ადრე მიღებული გადაწყვეტილებით. სასამართლოს შეუძლია შეცვალოს არსებული პრაქტიკა და ჩამოაყალიბოს ახალი სამართლებრივი პრინციპი (თუ ადრე მიღებული გადაწყვეტილება არ ეკუთვნის შემდგომ სასამართლოს). ამ სისტემის ქვეყნებში გაბატონებული შეხედულებით, მოსამართლე არის არა მარტო სამართლის შემფარდებელი, არამედ სამართალშემოქმედიც. ე.წ. judge-made law განიხილება როგორც სამართლის დამოუკიდებელი წყარო. სამოსამართლო საქმიანობა, ამ თვალსაზრისით, მოიცავს როგორც სამართლის შეფარდებას, ისე სამართალშემოქმედებასაც.

439. თანამედროვე პერიოდში Common Law-ის ქვეყნებშიც სულ უფრო იზრდება კანონისა და პოზიტიური სამართლის როლი.

⁵⁰ Müller/Christensen, Juristische Methodik, Band II, Europarecht, 2003, 239.

კალიფორნიაში 1900 წლიდან მოქმედებს სამოქალაქო კოდექსი Civil Code ისე, რომ ეს შტატი არ გამხდარა Civil Law-ის ქვეშაა. National Conference of Commissioners on Uniform State Laws ცდილობს აშშ-ში სამართლის ზოგიერთი სფეროების უნიფიცირებას მოდალური კანონების ფორმით. აშშ-ში უკვე განხორციელდა საქაჭრო სამართლის კოდიფიკაცია, ასევე, მოქმედებს კომერციული კოდექსი (რომელიც ლუიზიანის გარდა, ამერიკის ყველა შტატმა მიიღო).

440. კონტინენტური ევროპის ქვეყნებში სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს სასამართლოს გადანყვეტილებები. სასამართლო გადანყვეტილებათა როლი განსაკუთრებით დიდია შრომის სამართალში, ანაკეთილსინდისიერი კონკურენციის სფეროში და სხვ. ამავე დროს, კონტინენტური ევროპის ქვეყნებში ზემდგომი სასამართლოების პრეიუდიციებს ქვემდგომი სასამართლოებისათვის არა აქვთ იურიდიულად სავალდებულო ძალა.

441. კონტინენტური ევროპისა და ანგლოამერიკული სამართლის ქვეყნებში სამოსამართლო სამართლის განსხვავებული როლი, ძირითადად, განპირობებულია კანონმდებლობის შინაარსით. ამერიკულ კანონმდებლობას ახასიათებს რეგულირების ზუსტი და დეტალიზებული სტილი. ამ სტილის გავლენით „common law“-ის მოსამართლეები გაცილებით უფრო სერიოზულად უდგებიან კანონის ტექსტს, ვიდრე კონტინენტური ევროპის მოსამართლეები. კონტინენტურ ევროპაში კანონმდებელი „ყველაფერს“ არეგულირებს, მაგრამ ზოგადად. კონტინენტური ევროპის ქვეყნებში კანონის ტექსტი უფრო კომპაქტურია და ნაკლები მოცულობის, ვიდრე, მაგალითად, ამერიკაში (შეფარდება დაახლოებით 1:10). შესაბამისად, კონტინენტური ევროპის მოსამართლე უფრო კანონის აზრთან არის „მიბმული“, ვიდრე მის ტექსტთან (მათ შორის, სისხლის სამართალშიც, რომელსაც ტრადიციულად, ახასიათებს რეგულირების შედარებით ზუსტი და დეტალური სტილი).⁵¹

442. სამართლის ინგლისური და ამერიკული სისტემისათვის დამახასიათებელი კაზუსტიკა – case law ორიენტირებულია ზემდ-

51 Arzt, G., Einführung in die Rechtswissenschaft. Grundfragen mit Beispielen aus dem deutschen Recht, 1996, S. 36-37.

გომი ს
stare de
სამართ
ნილ პრ
ადრე
rule it),
ზემდგ
განთავ
ing, რ
ერთეუ
იდენტ
შემთხ
თუ რა
ცულდ

443. კონტი
არა ერ
თლებ
ურია,
მი და
განმარ
ტყვით
მეორე
ცნებე
კონტი
ტირებ
ცოდნ

444. სამოს
ქიულ
დგომ
inferio
სამარ
საკუთ
სობა
კონსტ
სისტე

გომი სასამართლოების გადაწყვეტილებებზე (პრეცედენტებზე).
stare decisis-ის პრინციპის თანახმად, უმაღლესი ინსტანციის სა-
სამართლო, როგორც წესი, ვერ გადაუხვევს მის მიერვე დადგე-
ნილ პრეიუდიციებს. სასამართლოს შეუძლია „გათავისუფლდეს“
ადრე მიღებული გადაწყვეტილებისაგან („overruling“ , to over-
rule it), როდესაც იგი ადგენს ახალ სამოსამართლო სამართალს.
ზემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილი პრეიუდიციებისაგან
გათავისუფლების განსხვავებული საშუალებაა ე.წ. distinguish-
ing, როდესაც პრეიუდიციისაგან გადახვევა დასაბუთებულია
ერთეული შემთხვევის განსაკუთრებულობით.⁵² აბსოლუტურად
იდენტური ურთიერთობები იშვიათია. ამიტომ, პრეიუდიციების
შემთხვევაში ზედმინევით უნდა გაანალიზდეს და შემონმდეს,
თუ რამდენად შესაძლებელია, რომ მოქმედი პრეიუდიცია გავრ-
ცელდეს განსახილველ შემთხვევაზე.

443. კონტინენტური ევროპის სამართლებრივი აზროვნება ეფუძნება
არა ერთეულ შემთხვევას, არამედ ზოგად პრინციპებს. სამარ-
თლებრივი აზროვნების ევროპული სტილი უფრო დედუქცი-
ურია, ვიდრე ინდუქციური. ასევე განსხვავებულია კანონისად-
მი დამოკიდებულება. Common Law-ის ქვეყნებში კანონების
განმარტება შემოიფარგლება კანონის ნებისა და სიტყვასი-
ტყვეთი განმარტებით. Common Law-მ მხოლოდ XIX საუკუნის
მეორე ნახევრიდან განავითარა აბსტრაქტული სამართლებრივი
ცნებები. საერთო სამართლის ქვეყნებისაგან განსხვავებით,
კონტინენტური ევროპის მოსამართლე უფრო მეტად ორიენ-
ტირებულია იურიდიულ ლიტერატურაში მოცემულ სისტემურ
ცოდნაზე.

444. სამოსამართლო სამართალი, მართლწესრიგის მსგავსად, იერარ-
ქულია. ზემდგომ პრეიუდიციებს უპირატესობა ენიჭება ქვემ-
დგომი პრეიუდიციების მიმართ („judicium superius derogat iudicio
inferiori“). სამოსამართლო სამართლის იერარქია ეფუძნება სა-
სამართლო ორგანოთა სისტემას. ზემდგომი სასამართლოს, გან-
საკუთრებით უზენაესი სასამართლოს პრეიუდიციებს უპირატე-
სობა აქვს ქვემდგომი სასამართლოების მიმართ. მართალია, სა-
კონსტიტუციო სასამართლო არ არის საერთო სასამართლოების
სისტემის ნაწილი, მაგრამ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილე-

⁵² R. v. R. [1991] 1 A.C. 1, 134.

ბები სავალდებულოა უზენაესი სასამართლოსათვისაც. ახლად დადგენილ პრეიუდიციებს უპირატესობა ენიჭება ადრე მოქმედ პრეიუდიციებთან შედარებით („judicium posterius derogat judicio priori“).

445. სამოსამართლო სამართალში განსაკუთრებით პრობლემატურია სასამართლო პრაქტიკის უკუძალის საკითხი. მართლმსაჯულება, ჩვეულებრივ, რეტროსპექტიულია, ანუ მიმართულია წარსულში მომხდარი ურთიერთობებისაკენ და, ასევე, ვრცელდება მხოლოდ ამ, და არა მომავალში წარმოშობილ ურთიერთობებზე. სასამართლო პრაქტიკის შეცვლისას ყოველთვის დგება საკითხი, მოიცავს თუ არა ამ პრაქტიკის შეცვლა ძველ ხელშეკრულებებს ან მანამდე წარმოშობილ სხვა ურთიერთობებსაც.

446. მართლმსაჯულების ერთიანობა სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპის გამოხატულებაა. სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპი განმტკიცებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლში. სამართლიანი სასამართლოს უფლება გამორიცხავს სასამართლო გადაწყვეტილებებისათვის უკუძალის მინიჭებას, რადგანაც ეს დაარღვევდა პროგნოზირებადობისა და სასამართლოსადმი მიმართვის პრინციპებს. ეს უფლება, ასევე, გამორიცხავს ისეთი კანონის მიღებას, რომელიც მიზნად ისახავს მიმდინარე სასამართლო პროცესზე ზეგავლენას.⁵³

447. სასამართლო პრაქტიკის შეცვლისას მსგავს პრობლემას ვაწყდებით ე.წ. საერთო სამართლის ქვეყნებშიც. ამ შემთხვევაში, უნდა ჰქონდეს თუ არა სასამართლო გადაწყვეტილებას *overruling*-ს უკუძალა (ანუ გავრცელდეს მანამდე წარმოშობილ ურთიერთობებზეც) (*retrospective overruling*), თუ ის უნდა გავრცელდეს მხოლოდ მომავალში წარმოშობილ ურთიერთობებზე? ე.წ. (*prospective overruling*)?.

448. დიდი ბრიტანეთის ლორდთა პალატა იხრება უფრო რეტროსპექტიული *overrulingis*-კენ. ლორდთა პალატა მიიჩნევს, რომ ინგლისის სამართლის სისტემისათვის უცხო იქნება მისი გავრცელება მხოლოდ მომავალში წარმოშობილ ურთიერთობებზე. რეტრო-

⁵³ EGMR, Urteil v. 9. Dezember 1994., Stran Greek Refineries.

სპ
შე
ბა
მი
შე
ახ
სა
ან
რი
დ
სა
პა
მა
ბა
სა
449. დ
pr
ჯ
ნა
ეხ
გა
რი
მი
მი
450. ან
ti
სა
თ
451. სა
ტ
ყ
კ
54 Hag
55 იქ
56 იქ

ახლად
მოქმედ
judicio

ემატუ-
თლმსა-
თუღდა
ვრცელ-
ერთო-
დგება
ელმეკ-
ბსაც.

რთხოე-
რთხოე-
ევრო-
ართლოს
ებისათ-
პროგ-
პრინცი-
მილებას,
როცესზე

ობლემას
შემთხ-
ტილებას
მოშობილ
და გავრ-
ობებზე?

ტროსპექ-
ამ ინგლი-
რცელდება
რეტრო-

სპექტული overruling-ის ქრესტომათიულ მაგალითად მოჰყავთ შემდეგი შემთხვევა: ერთ-ერთი ციხის დირექტორი თავისუფლებულკვეთილ პირთა პატიმრობის ვადას ითვლიდა სასამართლოს მიერ დადგენილი მეთოდიკით. მოგვიანებით, სასამართლომ შეცვალა ეს მეთოდიკა. აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთი პატიმარი ახალი გათვლების თანახმად, 59 დღით მეტხანს იმყოფებოდა საპატიმრო დანესებულებაში. პატიმარმა მოითხოვა ზარალის ანაზღაურება უკანონო თავისუფლების აღკვეთისათვის. პატიმრის ამ მოთხოვნის სანინააღმდეგო არგუმენტი იყო, რომ ციხის დირექტორის გათვლები შეესაბამებოდა იმ დროისათვის მოქმედ სასამართლო პრაქტიკას. სააპელაციო სასამართლომ საკითხი პატიმრის სასარგებლოდ გადაწყვიტა. სასამართლოს აზრით, მართლმსაჯულების პრაქტიკა შეიცვალა და ამ გადაწყვეტილებას, ასევე, ჰქონდა უკუძალა. ლორდთა პალატამ გაიზიარა სასამართლოს ეს გადაწყვეტილება.⁵⁴

449. დიდი ბრიტანეთის ლორდთა პალატის პრაქტიკა იცნობს ე.წ. prospective overruling-ის შემთხვევებსაც, როდესაც მართლმსაჯულების პრაქტიკის შეცვლა ვრცელდება მხოლოდ მომავალში წარმოშობილ ურთიერთობებზე. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა ეხებოდა მეუღლის მიერ აღებულ ვალზე საბანკო კრედიტის გარანტიებისათვის დადგენილ მოთხოვნებს. სასამართლოს აზრით, საბანკო კრედიტის გარანტიებისათვის დადგენილი ახალი მოთხოვნები უნდა გავრცელებულიყო მხოლოდ მომავალში წარმოშობილ ურთიერთობებზე.⁵⁵

450. ამერიკის უზენაესი სასამართლო აღიარებს მხოლოდ retrospective overruling-ს. ამავე დროს, ამერიკის ცალკეული შტატის სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება prospective overruling-ის შემთხვევებიც.⁵⁶

451. სასამართლო პრაქტიკის უკუძალასთან დაკავშირებით ოპტიმალური გამოსავლის მოძებნა საკმაოდ რთულია. ალბათ, ყველაზე მისაღები გამოსავალია, თუ სასამართლო პრაქტიკის მიერ დამკვიდრებული ახალი წესი გავრცელდება მხოლოდ

⁵⁴ Hager, G., Rechtsmethoden in Europa, 2009, S. 217.
⁵⁵ იქვე, გვ. 218.
⁵⁶ იქვე, გვ. 219.

განსახილველი შემთხვევის მიმართ, მაგრამ არა მანამდე წარმო-
შობილ ურთიერთობებზე.

452. სასამართლო პრაქტიკის როლი და გავლენა სულ უფრო იზ-
რდება, მათ შორის კონტინენტური ევროპის სამართლის ძველ
ნებშიც. საზოგადოებრივი ურთიერთობები დინამიკურად და
სწრაფად იცვლება. სასამართლო პრაქტიკა ხელს უწყობს ამ
შეცვლილ ურთიერთობებთან სამართლის ადაპტაციის პრო-
ცესს. ამავე დროს, თუ სასამართლო პრაქტიკის ცვლილებები
გავრცელდება მომავალში წარმოშობილ ურთიერთობებზეც, ეს
იქნებოდა სასამართლოს მხრიდან საკანონმდებლო საქმიანო-
ბის უზურპაციის მცდელობა და ხელისუფლების დანაწილების
პრინციპის დარღვევა.

453. აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს ის ნეგატიური შედეგ-
ებიც, რომელიც დადგება იმ შემთხვევაში, თუ მართლმსაჯულების
პრაქტიკის შეცვლას უკუძალა მიენიჭება. სახელშეკრულებო
ურთიერთობაში მონაწილე პირებს სერიოზული პრობლემები
შექმნებათ, თუ შეიცვლება ის გარემოებები, რომელზეც ისინი
(იმთავითვე) იყვნენ ორიენტირებული.

454. საქმის განხილვის პროცესში მოსამართლე დამოუკიდებელია და
ემორჩილება მხოლოდ კანონს. მოსამართლე არ არის ვალდებუ-
ლი თავისი გადაწყვეტილების არგუმენტაციისას აუცილებლად
დაეყრდნოს სხვა სასამართლოების, მათ შორის უზენაესი სა-
სამართლოს გადაწყვეტილებებს. თვითონ უზენაესი სასამართ-
ლოც ცვლის თავის გადაწყვეტილებებს. უზენაესი სასამართ-
ლოს გადაწყვეტილება არ არის კანონი. უზენაესი სასამართ-
ლოს პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება
არ ნიშნავს კანონიერების პრინციპის დარღვევას. სასამართლო
პრაქტიკას შეუძლია მხოლოდ დამატებითი არგუმენტის მნიშვნე-
ლობა მიენიჭოს მოსამართლის მიერ გამოტანილ განაჩენსა და
გადაწყვეტილებაში.

455. მოსამართლის დამოუკიდებლობა, პირველ რიგში, გულისხმობს
დამოუკიდებლობას ნორმის განმარტების პროცესში. ნორმა
შეიძლება განსხვავებულად იქნეს განმარტებული. ამავე დროს
მართლმსაჯულება უნდა იყოს ერთიანი. ნორმის ერთგვაროვანი

456. „ი-
რ-
რ-
ა-
ბ-
მ-
ტ-
მ-
ი-
ც-
457. „ი-
სა-
ლ-
უნ-
ც-
უ-
„ი-
არ-
პ-
უ-
ქ-
458. „ი-
უნ-
რო-
ლე-
მო-
უნ-
ტურ

შეფარდება და ინტერპრეტაცია დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპია. სამოსამართლო სამართალი ასეთი ერთიანობის მიღწევის საშუალებასაც იძლევა.

§4. „იურისტების სამართალი“

456. „იურისტების სამართალი“ ცნობილი იყო ჯერ კიდევ ძველ რომში. იურისტთა შეხედულებები ძველ რომში განიხილებოდა როგორც პოზიტიური სამართლის შემადგენელი ნაწილი. ჩვ. წ. აღ-მდე I-II საუკუნეების რომში სამართლის ცოდნა საზოგადოების წარჩინებული ფენების – სენატორებისა და, მოგვიანებით, მოსამართლეების პრივილეგია იყო. სამართლის ნორმათა ინტერპრეტაციის სავალდებულო ძალა და გავრცელების მასშტაბი მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად დიდი იყო კონკრეტული პიროვნების ავტორიტეტი და თუ რომელ სოციალურ ჯგუფს მიეკუთვნებოდა იგი.

457. „იურისტების სამართალი“ ენოდება სწავლული იურისტების ან სამართალმცოდნეთა გარკვეული ჯგუფის მიერ განვითარებული შეხედულებების ერთობლიობას. შუა საუკუნეების ევროპულ უნივერსიტეტებში სწავლულ იურისტთა შეხედულებებს, რეცენზიებს ე.წ. *communis opinio doctorum* (საყოველთაო შეხედულება მეცნიერებაში) კანონის ძალა ჰქონდა. XIX საუკუნეში „იურისტების სამართლის“ მნიშვნელობას, ძირითადად, აღიარებდა სამართლის ისტორიული სკოლა და ცნებთა იურისპრუდენცია. იურიდიულ მეცნიერებაში განვითარებულ შეხედულებებს დღესაც უწევენ ანგარიშს დასავლური დემოკრატიის ქვეყნებში.

458. „იურისტების სამართლის“ როლი თანამედროვე პერიოდში მნიშვნელოვნად დაეცა. სამეცნიერო შეხედულება უნდა განვიხილოთ როგორც რეკომენდაცია, რჩევა, რომელსაც არ აქვს არანაირი ლეგიტიმაცია. სამართლის მეცნიერული მოძღვრება არ წარმოადგენს სამართლის წყაროს (ამავე დროს, მას დიდი მნიშვნელობა აქვს სამართალშემოქმედების პროცესში). კონტინენტური ევროპის სამართლის განვითარებაში განსაკუთრებული